**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

10 დეკემბერი 2025

N 01/1/1399

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ **ნათია ჩირიკაშვილს**

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 2025 წლის ანგარიშს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

ა) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსულია 29 განცხადება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების შესაბამისად ცენტრში უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით და ელექტრონული რესურსების საშუალებით გამოთხოვა.

ბ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში შემოსული განცხადებებიდან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 22 შემთხვევაში.
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ 4 განცხადებაში აღნიშნული საკითხები ეხებოდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილების სფეროს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად განცხადება გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ნაწილობრივი პასუხი დაუბრუნდა 2 განმცხადებელს, მოთხოვნილი იყო პერსონალური ინფორმაცია.
- საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარი ეთქვა 1 განმცხადებელს.

გ) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირია ნინო კვიჟინაძე - საინფორმაციო და კომუნიკაციების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

დ) საანგარიშო პერიოდში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში შემოსული განცხადებები ძირითად შემთხვევაში შეიცავდა ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნას. ხშირად მოთხოვნილი იყო შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- დასაქმებული შშმ პირების შესახებ;
- საზოგადოების ჩართულობის შესახებ;
- საჯარო განხილვების ოქმების შესახებ;
- პროექტების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ;

- სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთა შესახებ;
- პირადი დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის გაცემისა და უარის შემთხვევაში, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასევე უზრუნველყოფილია ინფორმაციის პროაქტრიულად გამოქვეყნების გზით ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (eiec.gov.ge).

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და ცენტრის თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

ცენტრი დებულებით დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას. უწყებაში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ცენტრის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (Edoc) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. ცენტრის მიერ მიღებულია შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ინფორმაციული ზომები, რომლითაც უზრუნველყოფილია, როგორც ელექტრონულ სისტემაში არსებული, ასევე მატერიალური სახით დაცული პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება, რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

პატივისცემით,

თამთა დევდარიანი

თ. დევდარიანი

დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

https://edocument.ge/mea/public/#/1399-01/1-2-202512101820

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE